ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

სინერგია
დევნილთა ქსელი
IDP NETWORK

ორშაბათი, 18 ივლისი, 2011 | რეზონანსის ყოველთვიური დამატება | №8

გაფრთხილებისვადადღესიწურება. შესაძლოა, დევნილებიისევპოლიციისძალითგამოასახლონ

დღეს ხელისუფლება თბილისში მდებარე რამდენიმე შენობიდან დევნილთა 70-მდე ოჯახის გამოსახლებას აპირებს

მარი ოთარაშვილი

დღეს, 18 ივლისს, დევნილებს თბილისში არსებული 4 ობიექტიდან გამოასახლებენ. ამჯერად სუბელიანის უწყება თბილისიდან მათ განსახლებას სამღერეთის 13-დან, უზნაძის 8-დან, ყაზბეგის 16-დან და ვარკეთილის 204-ე ბაგა-ბაღიდან აპირებს.

„კონსერვატორ“ ლაშა ჩხარტიშვილის ინფორმაციით, სამინისტროს ძალისხმევით, 70-მდე დევნილ ოჯახს თბილისის გარეთ ცხოვრება მოუწევს.

მისივე თქმით, ოკუპირებულიტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ თბილისში არსებულ დევნილთა 4 ჩასახლებაში განცხადება-გაფრთხილებები დაარიგა, რომლის მიხედვითაც დევნილებმა ფართები გარკვეულ ვადაში თუ არ დაცალეს, პოლიციის ძალით გამოასახლებენ. ეს გარკვეული ვადა კი დღეს, 18 ივლისს მთავრდება.

ამსაკითხთან დაკავშირებით ოკუპირებულიტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლებისსამინისტრომედიასთან კომენტარს არ აკეთებს.

ვარკეთილი-3 მე-2 მიკრორაიონში მდებარე ყოფილი 204-ე ბაგა-ბაღის შენობაში აფხაზეთიდან დასამხრეთ ოსეთიდან დევნილი 18 ოჯახი 2010 წლიდან ამ შენობისათვის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის სტატუსის მინიჭებასა და შენობის დევნილებისთვის დაკანონებას ითხოვს.

მათი განცხადებისპასუხად, ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტომ 2010 წლის 26 აგვისტოს წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გაეთვალისწინებინათ აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები დევნილების სოციალური მდგომარეობა; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განეხილათ დევნილების თხოვნა და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიეღოთ. ამასთან, სააგენტომ სამინისტროს აცნობა, რომ „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტო მზადარის, საჭიროების შემთხვევაში, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებლად“.

დასასრული მე-4 გვერდზე

დევნილები-არასამთავრობოები-ხელისუფლება: ურთიერთთანამშრომლობის ფორმატი პასუხისმგებლობებისგაზიარებით

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ მატრიცის მოდელზე მუშაობა უკვე დაიწყო

მარი ოთარაშვილი

როგორც ამბობენ, ის ქვეყანაა წარმატებული, სადაც სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები პრობლემების გადასაჭრელად ერთად მუშაობენ. სწორედ ეს იყო ორდღიანი სამუშაო შეხვედრის რეზიუმეც, რომელიც 1-2 ივლისს ქუთაისსა და ზუგდიდში შედგა. შეხვედრის მონაწილეები არასამთავრობო სექტორისა და სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ.

პროექტი „თანამშრომლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესებისადვოკატირებისა და სწრაფი რეაგირებისათვის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ ფარგლებში ხორციელდება. პროექტს, ამერიკის საერთაშორისო სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელ „სინერგიასთან“ პარტნიორობით, „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების შესწავლის ინსტიტუტი“ (თბილისი) ახორციელებს.

სამთავრობო სტრუქტურებისწარმომადგენლებთან შეხვედრები ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორცარასამთავრობო სექტორის, ასევე იმერეთისა და სამეგრელოს ადგილობრივი ხელისუფლებისწარმომადგენლებისთვის.

ამ შეხვედრას წინ თითქმის ორთვიანი მუშაობა უძღოდა. ამ პერიოდში სოციოლოგების მიერ მომზადებულ სპეციალურ კითხვარზე (სოციოლოგების ენით რომ ვთქვათ, „ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე“) პასუხებიხელისუფლებისწარმომადგენლებმა გასცეს.

მარინა ფაღავა, პროექტის კოორდინატორი: - ამ ინტერვიუების მიზანი იყო, დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებისწარმომადგენლებს ერთობლივად დაგვენახა და ერთმანეთისგან გაგვემიჯნა დევნილთა პრობლემებისმოგვარებისთვის მომუშავე სახელმწიფოსტრუქტურების კომპეტენცია, მათი შესაძლებლობები, რესურსები და მობილურობის ხარისხი. ამის საჭიროება, ხშირ შემთხვევაში, დევნილთა უკამყოფილებამ განაპირობა: ისინი ვერ იღებენ მიზნობრივ დახმარებას, ვერხედავენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებს - იმის გამო, რომ არიციან, კონკრეტულად, რომელი უწყებების კომპეტენციაში შედის ამ პრობლემების მოგვარება; რა უფლება-მოვალეობები აქვთ მათ.

თავის მხრივ, ხშირად, საკუთარ კომპეტენციებს ერთმანეთისგან ვერ მიჯნავენ რეგიონული, ადგილობრივი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისხელისუფლებისწარმომადგენლები. პრობლემებით შეწუხებული დევნილი კი ხშირად უშედეგო მიმართავს სხვადასხვა უწყებას, რაც მის აპათიას იწვევს.

ნიშანდობლივია, რომ ხშირად, პარალელური სტრუქტურების არსებობის გამო, სრულყოფილ ინფორმაციას ვერ ფლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეს ხელისუფლებასთან ეფექტური თანამშრომლობისა და დევნილთა პრობლემების გადაჭრის შეფერხებასინ ვევს.

* * *

სოციოლოგმა **გიორგი თავბერიძემ** ქუთაისსა და წყალტუბოში გამართულ შეხვედრებზე წარმოადგინა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში ჩატარებული კვლევის - „ჩაღრმავებული ინტერვიუების „ანალიზი. პრეზენტაციას ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებისწარმომადგენლებს შორის დისკუსია მოჰყვა. შეხვედრების მონაწილეებმა სჯელობდნენ მათი საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებზე; თანამშრომლობის პერსპექტივებზე; იმაზე, თუ რა შეუძლია არასამთავრობოებისა და ხელისუფლების თანამშრომლობას დევნილთა ინფორმირებულობის ამაღლებისა და მათი პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მექანიზმების შესაქმნელად.

ქუთაისის ვიცე-მერის - **ნიკო კაჭკაჭიშვილის** აზრით, თანამშრომლობის მოდელში - „დევნილები-არასამთავრობო ორგანიზაციები-ხელისუფლება“ - მთავარ პოზიციას დევნილები იკავებენ: „დევნილმა თავად უნდა შეძლოს საკუთარი პრობლემის თაობაზე ხელისუფლების ინფორმირება. მაგრამ ამისთვის სახელმწიფო მოხელე ზედმიწევნით უნდა ერკვეოდეს თავის ფუნქციებში. მერიაში შემოსული ადამიანი (არაქვს მნიშვნელობა, არის თუ არა ის დევნილი) პირველ რიგში, მოქალაქეა. დევნილი არ უნდა არკვევდეს, რომელი სტრუქტურა გადაუწყვეტს პრობლემას. ეს ჩინოვნიკის მოვალეობაა.

დასასრული მე-3 გვერდზე

ცხოვრება ფოთში: ხელის უფლების მიერ დადგენილი ალტერნატივა წყალტუბოელი დევნილებისთვის

გამოსახლების პროცესში დევნილთა უფლებები ისევ ირღვევა

მარი ოთარაშვილი

წყალტუბოს სანატორიუმებში მცხოვრებ დევნილებს ფოთში გადასახლება მოუწევთ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მათთან 15-წუთიანი საინფორმაციო შეხვედრები უკვე გამართეს.

არასამთავრობოორგანიზაცია „წყალტუბოს დევნილ ქალთა ორგანიზაციის“ თავმჯდომარე - ლალი გრიგოლავა ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ სამინისტრომ დევნილებს არანაირი ალტერნატივა არ შესთავაზა; უფრო მეტიც, მათზე ზეწოლასაც ახდენენ.

ლალი გრიგოლავა: „წყალტუბოში მცხოვრები დევნილების ფოთში გადაყვანასთან დაკავშირებით დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ყველა კოლექტიურ ცენტრში ჩაატარეს 15-წუთიანი საინფორმაციო შეხვედრები. დევნილებს უთხრეს, - ვისაც ფოთში გადასვლა გსურთ, განცხადება დაწერეთო. განცხადების ფორმა კი, კობა სუბელიანის სახელზე, შტაბში მზად ჰქონდათ. ფოთში გადასვლაზე თანახმა დევნილებს სწორედ ამ შტაბისთვის უნდა მიეკითხათ“.

როგორც გრიგოლავა ჩვენთან საუბრისას ამბობს, დევნილებთან სხვატიპის შეხვედრებიც იყო, რომელიც მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადაიძულებითი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობდა:

„კოლექტიური ცენტრების ე.წ. კომიტეტების თავმჯდომარეები ატარებდნენ შეხვედრებს დევნილებთან. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ბევრ მათგანს შეევსო განაცხადი ფოთში გადასვლასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, განცხადების შევსების მსურველი ბევრი არიყო, ამიტომ კომიტეტების თავმჯდომარეებმა დევნილებზე ზეწოლის ხერხს მიმართეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, მათ დევნილებს უთხრეს: თუკი ფოთში გადასვლასთან დაკავშირებით განცხადებას ახლა არ შეავსებთ, მაშინ, შესაძლებელია, უარეს ადგილას გადაგიყვანონ, მაგალითად, ფოცხო-ეწერში, ან, შეიძლება, „დუბინკებით“ მოგიწიოთ გადასვლაო. კომიტეტის ზოგიერთმა თავმჯდომარემ ასეთი ზეწოლისგან თავი შეიკავა“.

გრიგოლავას თქმით, დევნილებს სხვა ალტერნატივა არ შესთავაზეს, რითაც დაარღვიეს როგორც დევნილთა უფლებები, ასევე, დევნილთა განსახლების სტრატეგია, რომლითაც სუბელიანის უწყება მოქმედებს.

ლალი გრიგოლავა: „როდესაც დევნილები ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შემოთავაზების საკითხს აყენებდნენ, სამინისტროს წარმომადგენლები მათ პასუხობდნენ: „ჩვენ სხვას არაფერს გთავაზობთ; გთავაზობთ მხოლოდ ფოთს. დანარჩენი არ გვეხება“.

> **ლალი გრიგოლავა: „როდესაც დევნილები ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შემოთავაზების საკითხს აყენებდნენ, სამინისტროს წარმომადგენლები მათ პასუხობდნენ: „ჩვენ სხვას არაფერს გთავაზობთ; გთავაზობთ მხოლოდ ფოთს. დანარჩენი არ გვეხება“.**

დევნილების წყალტუბოდან ფოთში განსახლებასთან დაკავშირებით სამინისტროს გეგმაზე ინფორმაცია „კონსერვატიული პარტიის“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილსაც აქვს.

ლაშა ჩხარტიშვილი: „წყალტუბოს სასტუმროში მცხოვრებ დევნილებს ყოველგვარი შეთავაზების გარეშე ეუბნებიან, რომ ფოთში უნდა გადასახლდნენ. იქ კი ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული პირობებიც არ არსებობს. არ არის ინფრასტრუქტურა. წინასაარჩევნოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებისწორედ წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს დაჰპირდნენ, რომ ამ ფართს დაუკანონებდნენ“.

ჯერჯერობით, დევნილთა სამინისტროს არ გაუვრცელებია ინფორმაცია, კონკრეტულად, როდის მოხდება წყალტუბოდან ფოთში დევნილთა გადაყვანა. ხელისუფლება ამბობს, რომ ფოთს დიდი მომავალი აქვს და დევნილები სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილნი იქნებიან. თუმცა ამ ეტაპზე, კონკრეტულ სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით ინფორმაცია მათ არ აქვთ. წყალტუბოში კი, 19 წლის განმავლობაში, ამ ადამიანებს გაუჩნდათ საარსებო წყარო, აქვთ სოციალური გარემო; მათ აქვთ ახლობელთა საფლავები, რომელთა მიტოვება ძალიან უჭირთ.

* * *

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წყალტუბოში მცხოვრები 860-მდე დევნილი ოჯახი უარს ამბობს მათთვის ქალაქ ფოთში შეთავაზებულ საცხოვრებელ ბინებზე. ამის შესახებ მათ საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისადალტოლვილთასამინისტროს წარმომადგენლების ინიცირებით, დაწყებულია წყალტუბოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა ქ. ფოთში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროცესის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობს დევნილთა მიერ, ნებაყოფლობით, შესაბამისი განცხადების წარდგენას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოში. არსებული პროცესიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დევნილებს სხვა ალტერნატივას არ სთავაზობენ, გარდა ფოთისა. ჩვენი აზრით, უკვე დაწყებული პროცედურა ეწინააღმდეგება იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტს: იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის პოზიციასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურას.

ამ განცხადებაზე ხელმომწერი დევნილები კატეგორიულად არ ვეთანხმებით სამინისტროს შემოთავაზებას ფოთში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით და ვითხოვთ, ჩვენი განსახლება განახორციელოთ მხოლოდ ქ. წყალტუბოს ფარგლებში, როგორც ამჟამად მშენებარე ბინებში (რომელიც, ვიცით, რომ დევნილებისთვის შენდება), ასევე, წყალტუბოში არსებულს სხვა საბინაო ფართებში.

აუცილებლობის შემთხვევაში, ამ განცხადების შემდეგ, თითოეული ხელმომწერის ოჯახი მოგმართავთ ინდივიდუალური განცხადებით წყალტუბოში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით“.

შესაძლებელია, წყალტუბოელმა დევნილებმა განსახლების პროცესში თავიანთი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართონ.

იურისტი ონა ქურდოვანიძე: „დევნილებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია მათ განსახლებასთან დაკავშირებით“

მარი ოთარაშვილი

რა უნდა იცოდეს დევნილმა იმისათვის, რომ განსახლების შემთხვევაში, მისი უფლებები არ შეილახოს? რა უფლება-მოვალეობები აქვს, ამ კონტექსტში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს? ამ საკითხებზე სასაუბროდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტს, ონა ქურდოვანიძეს მივმართეთ.

ონა ქურდოვანიძე: - დევნილთა განსახლება არის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვალდებულება. აქედან გამომდინარე, განსახლებასთან დაკავშირებულ, მისთვის მნიშვნელოვანს საკითხებზე დევნილმა აღნიშნულ სამინისტროს უნდა მიმართოს.

- კანონის მიხედვით, სამინისტრომ რა ვადაში უნდა მიაწოდოს დევნილს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია? რა ტიპის ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს სამინისტროსგან დევნილმა?

-საჯაროინფორმაციახელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ - განცხადების წარდგენიდან ერთ დღეში - გასცეს საჯარო ინფორმაცია. გამონაკლის შემთხვევებში - როცა ინფორმაციას მოძიებას სჭირდება - საჯაროინფორმაცია, მაქსიმუმ, 10 დღეში უნდა გაიცეს.

- თუკი დევნილმა სამინისტროსგან ვერ მიიღო პასუხი მისთვის საჭირო შეკითხვებზე, როგორ უნდა მოიქცეს ის?

- მაგალითად, თუკი დევნილმა, საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნით, სამინისტროს წერილობითი განცხადებით მიმართა, ერთი თვის განმავლობაში კი პასუხი ვერ მიიღო, მას უფლება აქვს, საქალაქოსასამართლოში სარჩელი შეიტანოს.

- დევნილს, რომელიც კომპაქტურ ჩასახლებაში ცხოვრობს, შეუძლია თუ არა, მოითხოვოს ინფორმაცია შენობის კერძო მესაკუთრესთან დაკავშირებით? და აქვს თუ არა მას უფლება, საცხოვრებელი ფართი დაიკანონოს?

- თუკი დევნილი კომპაქტურ ჩასახლებაში ცხოვროობს, მას უფლება აქვს, მიმართოს საჯარო რეესტრს ინფორმაციის მისაღებად, თუ ვინ არის შენობის მესაკუთრე. არის კომპაქტური ჩასახლებები, რომლებსაც კერძო მესაკუთრე ჰყავს, და არის კომპაქტური ჩასახლებები, რომლებიც სახელმწიფო ბალანსზეა. სამოქმედო გეგმის მიხედვით, კოლექტიური ცენტრების პრივატიზაცია ხორციელდება, თუმცა შესაძლებელია, ყველა კოლექტიური ცენტრის პრივატიზაცია ვერ მოხერხდეს. ეს შეიძლება შენობის ავარიულ მდგომარეობას უკავშირდებოდეს (სადაც მუდმივი ცხოვრების საშუალება არ არის), ან კიდევ, თუკი შენობას, რომელშიც დევნილები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი, ჰყავს კერძო მესაკუთრე, მასთან ვერ შედგეს შეთანხმება სახელმწიფოს მხრიდან და, აქედან გამომდინარე, დევნილებს საცხოვრებელი ფართი საკუთრება ში ვერ დაუმტკიცდეთ.

- არის თუ არა ვალდებული სამინისტრო, დევნილს წინასწარ შეატყობინოს მისი განსახლების თარიღისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც მას ასახლებს?

- ცხადია, მას ეს ვალდებულება აკისრია, რადგან დევნილთა განსახლება ნებაყოფილობითი პროცესია. დევნილებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია მათ განსახლებასთან დაკავშირებით; უფლება აქვთ, დაათვალიერონ ის ადგილი, სადაც მათი განსახლება იგეგმება. შემოთავაზებული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის წინასწარი დათვალიერების შემდეგ, მათ უფლება აქვთ, თავადვე გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ფართზე საცხოვრებლად გადასვლა.

- თუკი დევნილს არ მოსწონს სამინისტროს მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი პირობები, აქვს უფლება, უარი თქვას იქ გადასვლაზე და სამინისტროს ალტერნატივა მოსთხოვოს?

- დიახ, ასეთ შემთხვევაში, სამინისტრომ დევნილს ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. შესაძლებელია, სამინისტრომ წინასწარვე შესთავაზოს დევნილს საცხოვრებელი ადგილის რამდენიმე ვარიანტი. თუკი დევნილს არცერთი მათგანი არ დააკმაყოფილებს, მას სამინისტრომ სხვა უნდა შესთავაზოს.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად, სად მოხდება დევნილების განსახლება და რა პირობებში მოუწევს მას ცხოვრება, საჯაროა. მაგრამ რეალურად, სამინისტრო დევნილებს არ უკონკრეტებს, სად მოხდება მათი განსახლება და რა ვადით.

- და ეს კანონიერია?

- ვერ გეტყვით, ეს უკანონოა თუ კანონიერი. დევნილს აქვს უფლება, რომ ეს ინფორმაცია მოითხოვოს, სამინისტრომ კი ეს ინფორმაცია უნდა გასცეს; მაგრამ, თუკი არ გასცემს, ამის გამო მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

- თუკი დევნილი სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ადგილზე საცხოვრებლად გადასვლაზე თანახმა არ არის, აქვს თუ არა სამინისტროს უფლება, ის იძულებით ჩაასახლოს მის მიერ შერჩეულ ადგილზე?

- იძულებისწესით დევნილთა განსახლება დაუშვებელია. კანონის მიხედვით, დევნილს აუცილებლად უნდა შესთავაზონ ალტერნატიული საცხოვრებელი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საცხოვრებელი პირობები.

მაგალითად, თუკი დევნილი თბილისში, კომპაქტურ ჩასახლებაში ცხოვრობს, რეგიონში გადაყვანამ შეიძლება მისი საცხოვრებელი პირობები გააუარესოს, რადგან ის თბილისში იყო ინტეგრირებული. აქედან გამომდინარე, მას უფლება აქვს, საცხოვრებელი თბილისში მოითხოვოს, რადგან კანონი ამისსაშუალებას აძლევს.

რაც შეეხება კერძო სექტორში რეგისტრირებულ დევნილებს: მათი ძირითადი ნაწილი რეგიონებში გადაიყვანეს. მიგვაჩნია, რომ მათთან მიმართებით იგივე წესი უნდა მოქმედებდეს, რაც მოქმედებს კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრები დევნილებისთვის.

- დევნილის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ვის უნდა მიმართოს მან?

- თუკი დევნილი ჩათვლის, რომ მისი უფლება დაირღვა, მანსასამართლოს უნდა მიმართოს.

დევნილები-არასამთავრობოები-ხელისუფლება: ურთიერთთანამშრომლობის ფორმატი პასუხისმგებლობებისგაზიარებით

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ მატრიცის მოდელზე მუშაობა უკვე დაიწყო

დასასრული

ამიტომ სახელმწიფო მოხელემ კარგად უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები და დევნილი ერთი სტრუქტურიდან მეორეში უშედეგოგადამისამართებით არ უნდა დააბნიოს“.

ნიკო კაჭკაჭი შვილის მიერ ჩინოვნიკების მუშაობის ნაკლოვანების აღიარებით შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაინახეს შესაბამის სახელმწიფოსტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმდინარე პროექტის ფარგლებში სპეციალური ცნობარის გამოშვებაზეგაამახვილეს ყურადღება, რომელიც ჩინოვნიკებსა და დევნილებს შესაბამისი უწყებების უფლება-მოვალეობების საფუძვლიანად გაცნობაში, პრობლემის შესაბამისად მათ გამიჯვნაში დაეხმარება. აქედან გამომდინარე, მათ სა შუალება ექნებათ, თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად დახმარებისთვის ადრესატი ზუსტად შეარჩიონ.

ამავე კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია სპეციალური მატრიცის შემუშავება, რომელიც სწორედ უწყებისა და სტრუქტურების უფლება-მოვალეობების გამიჯვნასა და მათ კოორდინაციას შეუწყობს ხელს.

შეხვედრაზე, ქუთაისის ვიცე-მერის გარდა, სამთავრობო უწყებებს წარმოადგენდნენ: კახა ქორიძე - ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახურის ხელმძღვანელი; ბესიკ ჭანტურია - აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურია-აჭარის რეგიონებში. მათ შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს თავიანთი სამსახურების კომპეტენციები დევნილებთან მიმართებით და ისაუბრეს არსებულ სოციალურ პროგრამებთან მიმართებით დევნილთა ხელმისაწვდომობის შესახებ.

ნიკო კაჭკაჭი შვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „რეგიონში მცხოვრები დევნილების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ქუთაისში 600-მდე დევნილს სახლი გაურემონტდა, თუმცა ეს მხოლოდ ნაწილია ამ სფეროში ჩასატარებელი სამუშაოსი. მათ, ვისაც საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები აიღეს“.

* * *

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წყალტუბოში მცხოვრები დევნილების თემას, რადგან ახლახან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მათ ქ. ფოთში განსახლება შესთავაზა. ამ წინადადებას კი ყველა დევნილი არ ეთანხმება.

შეხვედრაზე წყალტუბოს დევნილ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის თავმჯდომარემ - **ლალი გრიგოლავამ** გაახმოვანა წყალტუბოში მცხოვრები 861 დევნილი ოჯახის არგუმენტირებული პროტესტი ქ. ფოთში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით. ეს ხალხი წყალტუბოში დღეს მშენებარე ბინებში განსახლებას ითხოვს, მაგრამ 10 მშენებარე ოთხსართულიანი კორპუსი ყველა დევნილის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. როგორც შეხვედრაზეც გამოჩნდა, წყალტუბოელ დევნილთა პრობლემებზე ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთობლივად მოუწევთ გამოსავლის ძიება - დევნილთა უფლებების დაცვა, მათი ინების გათვალისწინება.

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები - „აფხაზინტერკონტი“ და „წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი“ საგანგებოდ შეისწავლიან რამდენიმე კოლექტიურ დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა მოტივაციას ფოთში გადასვლასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ დევნილთა არჩევანი ნაჩქარევი არ იყოს, არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ დევნილთა ლიდერების ფოთში გამგზავრებას და ადგილზე საცხოვრებელი სახლებისა და გარემოს დათვალიერებას.

* * *

ზუგდიდში, სახალხო დამცველის რეგიონული ოფისის წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრის განსაკუთრებულ დინამიურობას ამ რეგიონში დევნილთა სიჭარბე და, შესაბამისად, პრობლემების სიმძიმე განაპირობებდა.

თორნიკე კილანავა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემოსვანეთში: „აქ მცხოვრები დევნილების მდგომარეობის წარმოდგენა ცუდსიზმარშიც შეუძლებელია. ვერაფრით გავარკვიე, რა კრიტერიუმით ხდება დევნილებისთვის საცხოვრებელი გარემოს შერჩევა და იქ შენობების გარემონტება; რა კრიტერიუმებით ანაწილებენ ამ ფართებს.

გადაწყვეტილებები არაკოორდინირებულად მიიღება, ამიტომ არასამთავრობო სექტორის დახმარება კოორდინაციის გასაუმჯობესებლად აუცილებელია. რასაც ჩვენ ვერ ვაკეთებთ, არასამთავრობო სექტორმა უნდა შეავსოს. გასაგებია, რომ საკუთრივ ზუგდიდის ტერიტორიაზე დევნილებისთვის სახლების აშენება შეუძლებელია, რადგან ქალაქის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში მიწის 4%-ია დარჩენილი. დევნილთა განსახლებისთვის ბიუჯეტში 135 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაცასევე არ არის საკმარისი პრობლემის გადასაწყვეტად. მაგრამ განსახლების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დევნილებისთვის უკვე არსებული სოციალური გარემოს მეტნაკლებად შენარჩუნება და მათი დასაქმება.

როდესაც დევნილები გავხდით, ყველანი ერთნაირ პირობებში ვიყავით, განსახლების პროცესში კი თბილისსა და რეგიონებში მცხოვრები დევნილები არათანაბარ პირობებში აღმოვჩნდით. ეს ადამიანებს აღიზიანებს. ყველა ცდილობს, განსახლების პროცესში მისი არჩევანი იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელია. განსახლების პირობები ყველასთვის თანაბარი და სამართლიანი რომ ყოფილიყო, ეს პრობლემა არ გაჩნდებოდა“.

* * *

სამუშაო შეხვედრაზე ფოცხო-ეწერში დევნილთა ჩასახლებასთან დაკავშირებითაც ისაუბრეს.

იაგო ფასანძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“: „ამჟამად ფოცხო-ეწერში მუდმივად მცხოვრები 209 დევნილია, ოფიციალურად კი რეგისტრირებულია 554. არასათანადო პირობების გამო, ზოგი გალში ცხოვრობს, ზოგი კი - თბილისში. ჩვენ არანაირი ცნობები არ გვაქვს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად, რა პირობებში ცხოვრობენ ისინი“.

თორნიკე კილანავამ ფოცხო-ეწერში დევნილთა განსახლება ასე შეაფასა: „დევნილი ფოცხოში თუ სხვაგან საცხოვრებლად იმიტომ კი არ უნდა წავიდეს, რომ მას სახელმწიფო სხვა გამოსავალს არ უტოვებს, არამედ ის უნდა დაეხმაროს, რომ სახელმწიფოსთვის მისი სწორედ იქ ცხოვრება არის მნიშვნელოვანი“.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა დალტოლვილთა სამინისტროს სამეგრელო-ზემოსვანეთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ - გოჩა ელერჯიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის მთავრობა დევნილთა განსახლების პროცესში ჩართული არ არის და მათი მხრიდან ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კონსულტაციის დონეზე. ეს არ არის გამართლებული, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგილზე, არასამთავრობოსექტორთანერთად, შეუძლიათ დევნილებისთვის საინტერესო წინადადებების წარმოდგენა და ცენტრალური ხელისუფლებისთვის მიწოდება.

საინტერესო იყო ზუგდიდის საკრებულოს საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულების კურატორის - გიორგი გასაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების ეფექტური თანამშრომლობის გზების მისაღწევად:

„თუკი დევნილისთვის სახლს ავაშენებთ, იქ ინფრასტრუქტურაც უნდა მოწესრიგდეს. ამიტომ, დევნილთა დასახლების ადგილები, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით უნდა იყოს შერჩეული. ასევე, დევნილებს ხელი უნდა შევუწყოთ დასაქმებაში და არა მხოლოდ ერთჯერადი დახმარების მიცემით შემოვიფარგლოთ. თუკი სახელმწიფო დევნილებს დასაქმების რეალურ პერსპექტივას სთავაზობს, ფოთში დასახლება კარგია.

ხელისუფლებას არ აქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ ყველა პრობლემა გადაჭრას, ამიტომ აუცილებელია თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მათი პროექტები მიმართული იყოს რეგიონში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მემორანდუმის გაფორმება. მნიშვნელოვანია მუშაობა მათთან, ვინც კარგად ერკვევა დევნილთა საკითხებში. აუცილებელია, მიდგომა კოორდინირებულად შეირჩეს, რადგან, მაგალითად, გაერო-სუმაღლეს კომისარიატს თავისი მიდგომები აქვს. სამინისტროც დამოუკიდებლად მუშაობს. მემორანდუმში კი სწორედ კოორდინირებული მიდგომები და საერთო პრიორიტეტები იქნებოდა ჩამოყალიბებული“.

* * *

სახელისუფლებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გაღრმავებისა და მათი მოქმედების ეფექტურობისთვის გამართული მსჯელობა შეაჯამა პროექტის კოორდინატორმა - **მარინა ფაღავამ**. მან გაზეთ „სინერგიასთან“ საუბრისას აღნიშნა:

„ჯერ - ინტერვიუებმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, შემდეგ კი - მათთან შეხვედრებმა ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობის სურვილი წარმოაჩინა. ვფიქრობ, ესსურვილი, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს თანამშრომლობის დადებითი გამოცდილება უკვე აქვს. და, რაც მთავარია: როგორც ჩვენ ვხედავთ, ხელისუფლება ამბობს, რომ არასამთავრობო სექტორი მას ეხმარება დევნილთა წინაშე მდგარი კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ჩინოვნიკები იმასაც აღიარებენ, რომ დევნილებსადასახელმწიფოსტრუქტურებს შორის არსებაკმარისი კომუნიკაციაადა სწორედ არასამთავრობო სექტორია ის რესურსი, რომელიც ამ ხარვეზის აღმოფხვრას შეძლებს. მათ დაინახეს ისიც, რომ ურთიერთთანამშრომლობის ამმოდელში - დევნილები-არასამთავრობო სექტორი-ხელისუფლება - ყველას თავისი პასუხისმგებლობა აქვს.

ხელისუფლებამ და არასამთავრობო სექტორმა ერთად გადავწყვიტეთ მსჯელობა დევნილთა პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმების შექმნის მიზნით. ხელისუფლებამ შემოგვთავაზა საკონსულტაციო-საკოორდინაციოსაბჭოს შექმნა, რომელიც დაგვეხმარებადევნილთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, ექსტრემალური სიტუაციების დაძლევისათვის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებასა და ამისთვის საჭიროსახსრებისა თურესურსების მოძიებაში.

ჩვენ მსჯელობის პროცესში ვართ. სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები დევნილთა პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმების მოსაძებნად გაგრძელდება. საბოლოო შეხვედრა გაიმართება თბილისში - ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლებების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით“.

ფოცხო-ეწერში ჩასახლებული დევნილი, ალტერნატიული ფართის მოთხოვნით, სასამართლოში ჩივის



სერგო ბოკუჩავა

მარი ოთარაშვილი

სუბელიანის უწყების მიერ ფოცხო-ეწერში ჩასახლებული დევნილი - სერგო ბოკუჩავა, რომელიც მძიმედ არის ავად, თბილისში საცხოვრებელ ფართს მოითხოვს. ამის გამო ის სასამართლოსაც მიმართავს. მისი ადვოკატი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი - ნონა ქურდოვანიძე იმედს გამოთქვამს, რომ ბოკუჩავას საქმე დადებითად გადაწყდება.

სერგო ბოკუჩავა გარკვეული პერიოდის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც სკინჰედებმა ჯანმრთელობა შეურყიეს, ის საქართველოში ჩამოვიდა და თამარა შვილის ქუჩაზე, ე.წ. „ზაკვოს“ შენობაში შესახლდა, თუმცა, დარეგისტრირებული იყო, როგორც კერძო სექტორში მცხოვრები დევნილი. 2010 წლის აგვისტოში კი, დევნილთა სამინისტრომ, ამ შენობაში მცხოვრებ სხვა დევნილებთან ერთად, ბოკუჩავაც გამოასახლა.

ნონა ქურდოვანიძე: „გამოსახლებისას მას არ შესთავაზეს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი თბილისში. გაასახლეს პირდაპირ ფოცხო-ეწერში, სადაც დღემდე ცხოვრობს. იქ კი მისთვის მძიმე საცხოვრებელი პირობებია: პროფესიით პროგრამისტია და ფოცხო-ეწერში დასაქმების არანაირი პერსპექტივა არ აქვს. გარდა ამისა, განათლება რუსულ ენაზე აქვს მიღებული, რაც, თავის მხრივ, პრობლემას ქმნის სამუშაოს აღგილობასთან დაკავშირებული პრობლემებია. ფოცხოში კი არ არის ისეთი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მას კვალიფიციურ მომსახურებას შესთავაზებს. აქედან გამომდინარე, ის ითხოვს მისი მდგომარეობისთვის ადეკვატურ ალტერნატიულ საცხოვრებელს. სწორედ ამასთან დაკავშირებით, სასამართლოში სარჩელი გვაქვს შეტანილი“.

ნონა ქურდოვანიძე: „ჩვენი მოთხოვნაა, სერგო ბოკუჩავას შეძლებისდაგვარად გამოეყოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი თბილისში, რომელიც იქნება იმ სტანდარტების შესაბამისი, რაც მას კანონით ეკუთვნის“.

ქურდოვანიძის თქმით, მოსამზადებელი სხდომა უკვე ჩატარდა. არსებითი განხილვა კი, სავარაუდოდ, მიმდინარე თვეში ჩატარდება.

„ჩვენი მოთხოვნაა, ბოკუჩავას შეძლებისდაგვარად გამოეყოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი თბილისში, რომელიც იქნება იმ სტანდარტების შესაბამისი, რაც მას კანონით ეკუთვნის“, - ამბობს იურისტი.

გაფრთხილების ვადა დღეს იწურება. შესაძლოა, დევნილები ისევ პოლიციის ძალით გამოასახლონ

დღეს ხელისუფლება თბილისში მდებარე რამდენიმე შენობიდან დევნილთა 70-მდე ოჯახის გამოსახლებას აპირებს

დასასრული

როგორც დევნილები აღნიშნავენ, დევნილთა სამინისტრომ წერილზე რეაგირება არ მოახდინა და ისინი ამ შენობაში დღემდე თვითნებურად შესულებად, ანუ შეჭრილებად მიიჩნევიან. ამიტომაც, 2011 წლის იანვარში თბილისში მდებარე მთელი რიგი ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების ანალოგიურად, ამჯერადმათაც მიიღეს მოსალოდნელი გამოსახლების შესახებ ოფიციალური შეტყობინება.

„სინერგია“ ესაუბრა დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ხელმძღვანელს - დავით მალაზონიას, რომელიც ვარკეთილის 204-ე ბაგა-ბაღში ცხოვრობს.

დავით მალაზონია: სამინისტროს წარმომადგენლებმა დევნილებით ჩასახლებულ ობიექტებში თითოეულ დევნილს დაურიგეს განცხადება-გაფრთხილების ფურცლები. ჩვენთანაც მოიტანეს, მაგრამ განცხადების წაკითხვა ვერ მოვასწარი, ისე გადაახიეს მომტანებს თავზე. ჩვენ - ვარკეთილის 204-ე ბაგა-ბაღში, ასევე, სამღერეთის 13-ში, უზნაძის 8-ში, ყაზბეგის 16-ში ჩასახლებულ დევნილებს 18 ივლისამდე მოგვცეს ვადა ფართების დასაცლელად.

- კონკრეტულად, სად შემოგთავაზეს განსახლება?

- წალენჯიხაში (ანუ ისევ ფოცხო-ეწერში), ბაკურციხეში, ახალციხის რაიონში. განცხადება-გაფრთხილებაში წერია, რომ თუ 18 ივლისამდე არ დავცლითაქაურობას, პოლიციისსაშუალებით გაგვასახლებენ.

- თუკი შემოთავაზებული ვარიანტები არ გაკმაყოფილებთ, კანონის მიხედვით, გაქვთ უფლება, ალტერნატიული საცხოვრებელი მოითხოვოთ. თქვენთვის სამინისტროს შემოთავაზება დამაკმაყოფილებელია? თუ - არა, მოითხოვეთ ალტერნატივა?

- ვინც თბილისში ვართ რეგისტრირებული, ფართს თბილისში მოვითხოვთ. ამასთან დაკავშირებით განცხადებაც დავწერეთ. ამ გამოსახლებას დიდი ხანია, აპირებენ, მაგრამ აქამდე ვახერხებდით, ეს პროცესი საპროტესტო გამოსვლებით შეგვეჩერებინა.

- თუკი საცხოვრებელ ფართს 18 ივლისამდე არ დაცლით, როგორც განცხადება-გაფრთხილებაში წერია, პოლიციის ძალით გაგასახლებენ. რას აპირებთ?

- დიახ, პოლიციის ძალით გაგვასახლებენ. როგორ უნდა მოვიქცე? განცხადებები შევიტანე სამინისტროში, სადაც დეტალურად აღვწერეის პირობები, რაც დევნილებს შემოთავაზებულ საცხოვრებელ ადგილებზე დახვდება. სამინისტროსგან მათ მიერ შერჩეული ალტერნატიული საცხოვრებლების შესახებ ამომწურავი ინფორმაციას ველოდები. წერილი მივწერე შინაგან საქმეთა სამინისტროსაც და ვთხოვე, გაგვაგებინონ, რომელი ბრძანებით უნდა მოხდეს ჩვენი განსახლება და არის თუ არა განსახლებაზე კერძო მესაკუთრის (ამ შემთხვევაში, თბილისის მერიის) თანხმობა. ასევე, განცხადებებით მივმართე ქალაქის მერიას, ქონების მართვის სააგენტოს, რადგან სწორედ ქონების მართვის სააგენტო იყო თანახმა იმაზე, რომ ეს ბაღი დევნილებს საკუთრებაში გადმოგვცემოდა, მაგრამ სამინისტრომ ამაზე უარი თქვა.

204-ე ბაგა-ბაღში აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი 18 ოჯახი ცხოვრობს. აქ 32 ბავშვი (უმეტესად, მცირეწლოვანი) ცხოვრობს. სად უპირებენ მათ ოჯახებს გასახლებას? ეს კითხვა პატარების სმენასაც სწვდება.

- როგორ ფიქრობთ, დევნილთა სამინისტრო თქვენს პოზიციას გაითვალისწინებს და სხვა ალტერნატივას შემოგთავაზებთ?

- იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც უნდა ვიმოქმედო. ჩვენს ბაგა-ბაღში ახლა ძალიან მძიმე სიტუაციაა: დევნილებს ბოთლებით ბენზინი აქვთ მომარაგებული და შეიძლება, თავი დაიწვან. სასოწარკვეთილები არიან, არაფრის გაგონება სურთ. ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ორსულად იყო და გამოსახლებასთან დაკავშირებული ნერვიულობის ნიადაგზე ბავშვი დაკარგა. თურმე ტყუპები ჰყოლია. ერთი დაკარგა, მეორე კი - გადარჩება თუ არა, არავინ იცის...

„ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ორსულად იყო და გამოსახლებასთან დაკავშირებული ნერვიულობის ნიადაგზე ბავშვი დაკარგა. თურმე ტყუპები ჰყოლია. ერთი დაკარგა, მეორე კი - გადარჩება თუ არა, არავინ იცის...“

conciliation resources

an international service for conflict transformation

გაზეთი „სინერგია“ გამოდის ევროკომისიისა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.